

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1614

ქ. ბათუმი, 04 ოქტომბერი 2017 წ

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საქართველოს ფოსტა“-
სათვის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2017 წლის 24 მარტს POST 17 00006016 წერილით (N9749/25) მომართა შპს „საქართველოს ფოსტა“-მ და მოითხოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №05.22.24.002; №05.22.25.006; №05.23.03.002; №05.23.25.011; №05.22.56.002 №05.21.09.005; №05.25.09.013; №05.21.50.003; №05.28.13.023; №05.21.49.003; №05.28.09.015; №05.29.16.005; №05.26.02.083 №05.34.23.170; №05.27.14.037; №05.30.28.030; №05.23.07.014; №05.23.32.018 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 5 წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა.

მითითებული მიწის ნაკვეთები „თვითმმართველი ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სასყიდლიანი იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მერიასა და შპს „უაიდ დისტრიბუშენს“ შორის 2011 წლის 14 მარტს დადებული ხელშეკრულების (რომელშიც ქ. ბათუმის მერიას, შპს „საქართველოს ფოსტა“-ს და შპს „უაიდ დისტრიბუშენს“ (იგივე შპს „EXPRESS“) შორის 2011 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმებით ხელშეკრულების მხარედ ნაცვლად შპს „უაიდ დისტრიბუშენი“-სა განისაზღვრა შპს „საქართველოს ფოსტა“) და ქ. ბათუმის მერიასა და შპს „საქართველოს ფოსტა“-ს შორის 2012 წლის 05 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს. მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია პრესის (ჟურნალ-გაზეთების) სარეალიზაციო ჯიხურები. იჯარის უფლების მოქმედების ვადა ამოიწურა 2017 წლის 14 მარტს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის №43 განკარგულების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ზემოთ ხსენებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) 5 წლის ვადით შპს „საქართველოს ფოსტა“-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ხოლო უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვრა 10 000,0 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 203836233) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

1.1. ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩაზე, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.22.24.002);

1.2. ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. №2-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.22.25.006);

1.3. ქ. ბათუმში, რუსთაველისა და მელიქიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.23.03.002);

1.4. ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №90-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.23.25.011);

1.5. ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. №51-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.22.56.002);

1.6. ქ. ბათუმში, ზ. გამსახურდიას ქ. №1/5-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.21.09.005);

1.7. ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №36-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.25.09.013);

1.8. ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №15/1-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.21.50.003);

1.9. ქ. ბათუმში, წერეთლის ქ. №44-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.28.13.023);

1.10. ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №4-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.21.49.003);

1.11. ქ. ბათუმში, წერეთლის ქ. №26-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.28.09.015);

1.12. ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №4-ის მიმდებარე 3,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.29.16.005);

1.13. ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 4,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.26.02.083);

1.14. ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 4,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.34.23.170);

1.15. ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. №132-ის მიმდებარე 4,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.27.14.037);

1.16. ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში, ქუჩა ნაწილი 6 (გრიშაშვილის ქუჩა) მდებარე 4,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.30.28.030);

1.17. ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. №54/62-ის მიმდებარე 4,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.23.07.014);

1.18. ქ. ბათუმი, ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 4,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.23.32.018).

2. მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

3. მიწის ნაკვეთების წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 10000,0 (ათი ათასი) ლარით.

4. ძირითად სახელშეკრულებო პირობად განისაზღვროს:

4.1. შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (შემდგომ ტექსტში წოდებული როგორც „იჯარის უფლების მქონე“) უფლება აქვს სარგებლობაში მიღებულ მიწის ნაკვეთებზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განათავსოს მხოლოდ მსუბუქი კონსტრუქციის მქონე პრესის (ქურნალ-გაზეთების) სარეალიზაციო ჯიხურები, რომლებიც მიწასთან მყარად არ იქნება დაკავშირებული და არ წარმოადგენენ მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს.

4.2 იჯარის უფლების მქონე პირის მიერ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთისათვის სარგებლობის საფასურის გადახდა განხორციელდეს შემდეგი პირობებით: თანაბარწილად კალენდარული წლის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე სახელშეკრულებო წლის შესაბამისად;

4.2.1. პირველი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მომდევნო წლის შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო, ხოლო ყოველი შემდეგი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო;

4.2.2. სარგებლობის საფასურის გადახდა იჯარის უფლების მქონეს არ ათავისუფლებს მიწისსარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან;

4.2.3. მიწის ნაკვეთის სარგებლობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, იჯარის უფლების მქონე სრულად იხდის იმ სახელშეკრულებო წლის სარგებლობის საფასურს, რომელ სახელშეკრულებო წელსაც მოხდა იჯარის უფლების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

5. სხვა სახელშეკრულებო პირობებად განისაზღვროს:

5.1. იჯარის უფლების მქონე ვალდებულია საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით თავად უზრუნველყოს სახელშეკრულებო პირობების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედებებისათვის დაწესებული ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება;

5.2. იჯარის უფლების მქონეს ეკრძალება იჯარის უფლებით მიღებული ქონება, შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის, გააქიროს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) ან სხვაგვარად დატვირთოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეუთანხმებლად. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე;

5.3. იჯარის უფლების მქონემ საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ობიექტების ცენტრალურ კომუნიკაციებთან მიერთება, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში;

5.4. იჯარის უფლების მქონე ვალდებულია გადაიხადოს იჯარის უფლების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების სათანადო წესით დადასტურების, უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და სხვა მასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

6. იჯარის უფლების მქონე პირის მიერ წინამდებარე ბრძანებით/სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით.

7. იჯარის უფლების მქონეს მიეწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთები) - უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

8. იჯარის უფლების მქონეს გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე იჯარის უფლება წარმოეშობა აღნიშნულის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

9. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს ამ ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

10. თუ კანონმდებლობით დაწესებულ ვადაში არ მოხდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, წინამდებარე ბრძანების შედეგები უქმდება.

11. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი